აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სერვისის განვითარების სამსახური

ტრენინგი სოფელ ჭარნალში

22.10.2021 - 24.10.2021

ტრენინგის შესახებ

ტრენინგი განკუთვნილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალში არსებული კვების ობიექტებისა და სასტუმრო სახლების წარმომადგენელებისათვის. ტრენინგი მოიცავს სოფლად არსებული კვების ობიექტისა და საოჯახო სასტუმროს მართვის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. ტრენინგზე დასწრებისათვის აუცილებელია რეგისტრაციის გავლა.

შინაარსი

ტრენინგის თემატიკა:

თემა 1: კვების ობიექტის მართვის სტანდარტები და სპეციფიკა

- სარესტორნო პროცესების მართვა (გუნდის მოტივაცია, ლოგისტიკა, გასაუბრებები, დროის სწორი განაწილება, პასუხისმგებლობების გადანაწილება, ორგანიზაციის სტურქტურა, სტუმრის პერსონალური ინფორმაცია, სტუმრების ბედნიერებაზე ზრუნვა)
- კომუნიკაცია და ადამიანების მენეჯმენტი
- მაგიდის მენეჯმენტი
- ეტიკეტი და პროტოკოლი
- ჰიგიენა და დასუფთავება
- სამზარეულო (კერძის მომზადების საფეხურები, სწორი კომუნიკაცია შეფთან, ხორცის შეწვის სტანდარტები, ჰიგიენა.)
- კვების სახეობები (მსოფლიოში და საქართველოს გავრცელებული პრაქტიკა) რეგიონალური სამზარეულო, ქართული პროდუქტები, კვების კულტურა.

თემა 2 - განთავსების ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკა:

- სოფლად არსებული სასტუმრო სახლების ტიპები და საერთაშორისო სტანდარტი.
- ინდივიდუალური და ჯგუფური შეთავაზებები.
- სტუმრის მიღების პროცედურები. ღამისთევა.
- დალაგების თავისებურებები.
- Covid 19-ის შესაბამისი რეგულაციების გაცნობა.
- სერვისების კალკულაცია.
- ანგარიშსწორების საკითხები.
